



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### დემირხანოვი რაჩია არამის ძე



რ. დემირხანოვი

დემირხანოვი რაჩია არამის ძე (24. XII. 1914, თბილისი, – 29. X. 1986, სოხუმი), ფიზიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1964), პროფესორი (1968).

დაამთავრა თბილ. რკინიგზის ტრანსპ. ინჟინერთა ინ-ტი (1938). მუშაობდა ბაქოს ნავთობის სამეცნ.- კვლ. ინ-ტსა (1938-42) და თბილ. ამიერკავკ. საინჟინრო-სამშ. ინ-ტში (1942-46), 1946 მივლინებულ იქნა სოხუმის „ობიექტზე“ (1956-იდან სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი) .

ურანის იზოტოპების განცალკევების ელექტრომაგნ. მეთოდის დამუშავებისათვის მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია (1951, სხვებთან ერთად).

იყო მნიშვნელოვანი შრომების ავტორი პლაზმისა და ამჩქარებლების ფიზიკაში. დაამუშავა პლაზმური განმუხდისა და რექტიფიკაციის მეთოდები, რ-ებმაც საფუძველი ჩაუყარა ზესუფთა აირების მიღების ეფექტურ ტექნოლოგიებს ბირთვული რეაქტორებისათვის. მართვადი თერმობირთვული რეაქციის პრობლემის კვლევის პროცესში პლაზმაში დამატებითი ენერჯიის შესაყვანად პირველმა გამოიყენა მაღალსიხშირული ელექტრომაგნ. ველი, რ-ის შედეგად დანადგარზე TOKAMAK P-05 მიღებულ იქნა იმ დროისათვის (1984) რეკორდული 50-მილიონგრადუსიანი D-D- პლაზმა 0,1 ნმ განმავლობაში.

**რ. სალუქვაძე**

